COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ევროპის საბჭოსა

და

ონის მუნიციპალიტეტს

შორის

პროექტის **„მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“** ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელების მიზნით

ჩვენ, ამ მემორანდუმის ხელმომწერები:

ვაღიარებთ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის პრინციპებსა და მის დამატებით ოქმს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ, შესაბამისად 2004 და 2019 წლებში.

ვითვალისწინებთ ევროპის საბჭოს სტანდარტებს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ.

ვაცნობიერებთ, რომ მონაწილეობითი დემოკრატია არის დემოკრატიის ფუნქციონირების მთავარი საფუძველი და რომ ის ხელს უწყობს წარმომადგენლობით და პირდაპირ დემოკრატიას.

ვაცნობიერებთ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის უფლება ყველა დონეზე უნდა იყოს დაცული ინდივიდებისთვისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

გამოვხატავთ მზაობას, რათა:

გავაუმჯობესოთ ადგილობრივი მმართველობის ხარისხი მონაწილეობითი პროცესების გაძლიერებით, მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვით კონკრეტული პოლიტიკის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ადგილობრივ დონეზე ახალი ინოვაციური მონაწილეობითი მექანიზმების დანერგვით.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები გამოხატავენ მზაობას, რომ:

ევროპის საბჭო:

- **ხელი შეუწყოს** ონის მუნიციპალიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას სამოქალაქო მონაწილეობის ჩარჩოებისა და პრაქტიკის გასაძლიერებლად, ევროპის საბჭოს სტანდარტებისა და ინსტრუმენტების დანერგვას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობისა და ღია მმართველობის ხელშეწყობისა და გაძლიერებისთვის.
- **უზრუნველყოს** ადგილობრივ და ევროპულ დონეებზე გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, რათა შემუშავდეს ადგილობრივი სტრატეგიები და პოლიტიკა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ეფექტური მონაწილეობის, ჩართულობისა და გამჭვირვალობისთვის.
- **მხარი დაუჭიროს** დაინტერესებულ მხარეთა დიალოგს და ხელი შეუწყოს მოქალაქეების ეფექტური ჩართულობის ინოვაციური მექანიზმებისა და ინსტრუმენტების დანერგვით მდგრადი განვითარების პროცესის გაძლიერებას.

ონის მუნიციპალიტეტი:

- **უზრუნველყოს** სტრატეგიებში, პოლიტიკის დოკუმენტებსა და პრაქტიკაში სამოქალაქო მონაწილეობის ევროპული სტანდარტებისა და ინსტრუმენტების ინტეგრირება, კერძოდ, წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)4 ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ, სახელმძღვანელო მითითებები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის კარგი პრაქტიკის კოდექსი.

- **გააძლიეროს** ადგილობრივ დონეზე ქმედებები, რათა მოქალაქეები აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ხელი შეუწყოს სამოქალაქო მონაწილეობას ადგილობრივ დონეზე.

- **მონაწილეობა მიიღოს** გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების აქტივობებში, ადგილობრივ გამოწვევებსა და მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ახალი სტრატეგიების, ინოვაციური პრაქტიკისა და ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით.

- **მონაწილეობა მიიღოს** ევროპის საბჭოს პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში" აქტივობებში ევროპის საბჭოს სტანდარტებისა და ინსტრუმენტების პოპულარიზაციითა და კარგი პრაქტიკის მაგალითების გაზიარების გზით ევროპის საბჭოს პროექტის იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით.

ხელმოწერილია საქართველოში, თბილისში 2022 წლის 22 სექტემბერს, ინგლისურ და ქართულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია. გაურკვევლობის შემთხვევაში, ტექსტის ინტერპრეტაციის დროს, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ტექსტის ინგლისურ ვერსიას.

სერგო ხიდეშელი	**სტეფან სირბუ**
ონის მუნიციპალიტეტის მერი	ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე